№ 216. 29 ოქტომბერი, შაბათი. 1866 – 1883 29 ოქტომბერი, შაბათი. № 216.

რედაქცია
სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიურ გიმნაზიის უკან.
ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»
«დროების» ფასი
მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

დროება

ფასი განცხადებისა
სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბ უნებს ავტორს

ზამთრის პირველ დღე ოთხშაბათის გარდა. ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

არწრუნის თეატრი.
კვირას, 30 ოქტომბერს
ქართული დრამატიული დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
პირველად
ცხოვრების თანამოგზაური
კომედია ოთხ მოქმედებად და ხუთ სურათად რუსულიდამ გადმოკეთებული ა. მ. მოჩხუბარიძისაგან.
დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

27 ოქტომბერს.

პეტერბურგი. ფინანსთ სამინისტროში შემდგარა კომისია, რომელმაც ტამოჟნის ტარიფი უნდა გადაათვალიერონს; ამ კომისიაში არიან დანიშნულნი, ფინანსთ სამინისტროს წარმომადგენელთა გარდა, სახელმწიფო ქონებათა და გზათა სამინისტროთ წარმომადგენელნიც

ლონდონი. გონკონგიდგან იწერებიან, რომ ჩინელები ძალიან ემზადებიან ომისათვის; არსენალებში გაცხარებული მუშაობა აქვსთ; ჩინეთის გენერალი პანგი, რომელსაც უნდა რომ ომი იყოს, სამხრეთის ჯარების სარდლობას გისრულობს. ფრანცუზებს ქალაქ ბანინგზე თავს დასხმის განზრახვა სხვა დროსთვის გადაუდვიათ; მთელ ტონკინში მარტო ეს ერთი ქალაქი უჭირავს ჩინეთის ჯარს.

ხარკოვი. ვორონეჟის ერობას ნება-რთვა მიუღია მოიპოვოს საშუალება რკინის გზის გასაკეთებლად პენზიდგან ლოზოვოიამდე და აქედამაც ხარკოვამდე.

ბელგრადი. სერბიის ჯარების რაზმს და აჯანყებულ გლეხებს მოუხდათ ერთმანეთთან შეტაკება ბანიის მახლობლად, მაგრამ რაოდენიმე თოფის გასროლის შემდეგ, რომლისაგანაც იქვე 6 კაცი მოკვდა, აჯანყებულები მაშინვე დამორჩილდენ და პატივება სთხოვეს.

ბერლინი. ნოემბრის პირველ რიცხვებში მემკვიდრე პრინცი მიდის ესპანიაში იმპერატორის მაგივრად მეფე ალფონსის ვიზიტის გადასახდელად; პრინცი გაივლის გენუიაზე.

«დროების» ტელეგრამა, 29 ოქტომ

ციცია*)

(მოთხრობა)

ჟორლუყომ ფული იმოვნა, ნაჩალნიკმა ინახულა და დაყვავებით მოექცა და ქალალდი დაუწერეს პავკაის ნაჩალნიკთან, რომელსაც მოხუცისთვის შემწეობა უნდა ამოეჩინა.

ფული, რასაკვირველია, ნაჩალნიკს პირდაპირ არ ჩაბარდა და გადაეცა «აპრაკუნეს». ამასვე მიართვა ჟორლუყომ «გასამრჯელო» დანარჩენი რვა თუმანი და გახარებული ჟორლუყო გაუდგა თავის გზას.

XVIII

სწორედ იმ ღამეს, როდესაც ბეჟია მოშორდა თავის დამქირავებელს, ოსის თემურყოს სახლთან მივიდა ეიღაცა კაცი და მაღალის ხმით მასპინძელს დაუძახა.

თემურყო წამოხტა და სმენას მიეცა, რადგანაც მომსველელის ეინაობა ხმაზედ უნდოდა შეეტყო, მაგრამ ეს სურვილი ამაოდ დარჩა.

— ვინ იქნება ამ მუაღამისას? მასპინძელი თავის-თავს ეკითხებოდა და საჩქაროდ ტანთ იცვამდა.

*) იხ. «დროება» № 211.

გარედგან უცნობმა მისი სახელი გაიმეორა და ხმაში მოუთმენლობა დაეტყო.

თემურყომ ღილებიც კი აღარ გაიკრა, ხანჯალს და დამბაჩას დასცა ხელი და საჩქაროდ გამოვიდა გარედ.

— ვინა ხარ, რაი გინდა?

— სტუმარი.

— სტუმარი ღვთისაა, იმ ხმით უპასუხა თემურყომ, თითქოს ამბობდა: «ცარიელს სტუმარს რა თავში ვიხლი?»

თემურყოს ბევრი სტუმრები მოსდიოდა, მაგრამ მათგანი ისეთები უყვარდა, რომელთაც გამორჩებოდა რასმე და ახალ მოსული კი, როგორც ეტყობოდა, მარტო მასპინძლობას სთხოვდა.

— შემოდი, რაღას უყურებ? კარები გაიღო და უგულოდ შემოიპატიჟა სტუმარი.

— სამაგისოდ არ მცალიან, აქ გამოიხედე,—მოისმა ისევ უცნობის ხმა.

ოსს შუბლი გაეშალა, რადგანაც გაიგო, რომ ეს კაცი საქმისთვის მოსულიყო და მაშასადამე საშოვარზედაც იმედი მიეცა.

თემურყომ ფეხი გადადგა ეზოს «ბჭეს» თუ არა, გაღელილს მკერდზედ იგრძნო ცივი რკინა და გაიგონა თუმცა წყარი, მაგრამ ბრძანებითი ხმა:

— ხმა არ ამოიღო და მომყევ.

თემურყომ შეამჩნია ვიღაცა სახე მოჭმუხნული ყმაწვილი კაცი. თან დაინახა დამბაჩის ტუჩი, რომელიც ხორცში თითქოს ჩასჭედოდა და შეშინებულს ცივმა ოფლმა დაასხა და ხელებ ჩამოცვიენული მთლად გეფითრდა.

— მომყევ, —ბძანებით გაიმეორა უცნობმა და ისე წაიყვანა, რომ სიარულში დამბაჩის ტუჩი არ მოშორებოდა.

როდესაც ისინი სახლებს იმდენად გაშორდენ, რომ მათი ლაპარაკი აღარაფის მისწვდებოდა, უცნობი შესდგა და ოსიც შეაყენა.

— ერთი საკითხი მაქვს და შენი სიცოცხლე შენს პასუხზედ იქნება დამოკიდებული... ეცადე, მართალი მითხრა,—მკაცრად დაიწყო უცნობმა.

—მკითხე და გეტყვი,—უპასუხა ოსმა და დაუმატა: რაისთვი არ გეტყვი? გეტყვი ცემა მზემ.

— მე რომ ფული მქონდეს, მოგისყიდდი და ყველას მართალს გათქმევინებდი, მაგრამ იცოდე, ფული არ გამაჩნია და სიცრუისთვის იმით გაგისწორდები, რაცა მაქვს,—უთხრა ისევ უცნობმა და უჩვენა დამბაჩაზედ.

— ვაი, სენ ცემო თაო!... ოსმა თავი მოიკატუნა,—თუ კი რამე ვიცი,

საცილობელი საგანი დიდის ს. ხელმწიფოებისა.

თბილისი, 28 ოქტომბერს.

ამ ათი-თხუთმეტის წლის წინად როგორ მოიფიქრებდა მცირე ოსმალეთისაგან დაჩაგრული ხალხი ბულგარიისა, რომ ერთ დროს და მერე ასე მოკლე დროს მთელის ევროპის საცილობელ საგნად შეიქნებოდა! როგორ მოიფიქრებდა, რომ მთელი ჟურნალ-გაზეთობა თითქმის მარტო იმის საქმეებში და მის მთავრის მოქმედების განხილვაში იქნებოდენ გართულნი! ვერ მოიფიქრებდა, მაგრამ ქამთა ტრიალმა ასე მოიტანა და ბულგარიის მთავრის ალექსანდრესაგან რუსის გენერლების, სობოლევისა და ქაულბარსის, დათხოვნა სწორედ რომ დღეს ეპოქას შეადგენს და იქნება ამ არა-თვალსაჩინო ამბავს მართლა დიდი ამბებიც მოჰყვეს და ევროპის სახელმწიფოები ერთმანერთში აირ-დაირიოს.

სხვა და-სხვა გაბნეულ ცნობებიდამ მხოლოდ ეს ნამდვილათ სჩანს, რომ ბულგარიის მთავარს მოუწადინებია თავის დახსნა მფარველობისაგან რუსეთისა, იმ რუსეთისა, რომელმაც, რუსულ გაზეთების სიტყვით, მოუპოვა ბულგარიას თავისუფლება და «ამობრიულად» იღწოდა მისთვის. იქნება მთავარს ასე მალე არ აკი გამოეცხადებინა თავისი დაფარული განზრახვა, მაგრამ ხსენებულ გენერლებს და მათთან ერთად რუსეთის აგენტს ონინს მოუნდომნიათ ბულგარიის თავისებურად გამგეობა და ნაციონალურ თავმოყვარეობისათვის შეურაცხება მიუყენებიათ.

მიზეზი რაც უნდა იყოს, ფაქტი მაინც ფაქტათ რჩება: ბულგარიის მთავარს ამ ორის გენერლისთვის თან მიუდევნებია ყველა რუსის ოფიცრები, რომელნიც კი ბულგარიის სამსახურში იყვნენ და ის ბულგარიელი ოფიცრები კი, რომელნიც რუსეთში მსახურებდენ, შინ დაუბარებია. ბოლოს, არ ვიცით, ვისი ჩაგონებით, ბულგარიის მთავარს გახსენებია, რომ სრულიად ხიდის ჩამტვრევა არ ეკარგებდა, მოუნდომნია ერთის ფიცრის დატოვება მაინც და რუსის გენერალ ლესოვოისათვის სამხედრო მინისტრობა უძლევია, მაგრამ ეს ხელმწიფე იმპერატორმა არ ინება თურმე. ეხლა ცხადია, რომ ბულგარიასა და რუსეთს შუა დიდი უკმაყოფილება ჩამოვარდა და რუსულ გაზეთების კილოს ეს აშკარათაც ეტყობათ. ერთი ამათთაგანი პირ-და-პირ გულ-გახსნილი ამბობს: «დღეის იქით ჩვენგან მხოლ-

საით დაგიმალავ? სტუმრად არ ხარ მოსული?

უცნობმა ხიზლით შეხედა.

— საით წავიდა სულთი?

— სულთი?... ვინ სულთი?

— ვინც ციცია, ჟორლუყოს ქალი მოიტაცა.

— არ ვიცი, ღმერთმანი.

— მოგცლავ,—დაემუქრა უცნობი.

ოსმა შეხედა და მთვარის შუქზედ სტუმარს შეაჩნია, რომ არა ხუმრობდა, მაგრამ ცნობის მოყვარეობამ უნებლიეთ წამოაძახა.

— სენ ვინა ხარ?

— ციციას საქმრო, ბეჟია! მოკლედ უპასუხა მოხევემ.

— ციციას საქმრო! გაუკვირდა ოსს.

— ჰხედავ, რომ უნდა შეეიტყო ციციას რა უყვეს?... სახუმროდ არ მოვსულვარ, მოთმინებაც მიწყდება... გირჩევ, რომ ჩქარა მითხრა.

— ბეტყვი... ჯარიახზედ ჩეჩენში წავიდენ... მაგრამ ჯერ, მგონი, ჯარიახიდგან არ წასულან და იქ მასპინძლისას არიან.

— ფონი სად არის? იკითხა ბეჟიამ.

— წყალი პატარაა, ეხლა ყველგან ფონია,—უპასუხა ოსმა.

— აბა, მშვიდობით, თემურყო, მაგრამ თუ მომატყუე, მთა მთას არ ასცდება.

ლოდ ბძანება უნდა გამოვიდეს და მთავარი ალექსანდრე კი ამ ბძანებას უნდა ასრულებდეს, ან უნდა დაგვმორჩილდეს, ან გადადგეს—სხვა გზა აღარ დარჩენილაო!»

ესეთს ძლიერ სახელმწიფოდამ მოსმენილ სიტყვებს უნდა შეეზარა მთავარი ალექსანდრე და თუ გმირული თავ-განწირულება არ ეხერხება, უნდა დამორჩილებოდა კიდეც, მაგრამ, რაკი ამას არ სჩადის, ეტყობა, როგორც მდაბიურად იტყვიან, ზურგი მაგრათა აქვს და ამიტომ მუქარას არას ეპოება. ეს ზურგის მომცემი არის ავსტრო-ვენგრია, რომელიც თითქო საბაბს ეძებს, რომ თავისი გავლენა ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ გაავრცელოს. ბატეხილი სჯობს,—დღემდის ეს მას უფრო ეხერხება, ვიდრე სხვა სახელმწიფოს. მაშ შეიძლება მოხდეს, რომ ბედკრული ბულგარია, ველი ბრძოლისა რუს-ოსმალოს ომის დროს, ხელმეორედ ბრძოლის ველად გარდაიქცეს ორს და, იქნება, მეტს ძლიერ სახელმწიფოთა შორის.

ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ ეს ამბავი მოხდეს; ჯერ კიდევ უკანასკნელის ომის თოფის წამლის სუნი ჰაერში ტრიალებს, ჯერ კიდევ მეომართ სისხლი კარგად არ შეუწმენდიათ და პოლიტიკურს ჰორიზონტზედ კი საეჭვო ნიშნები მოჩანს. სანუგეშო ამ ამბავში სწორედ რომ არაფერია.

— არა, ცემა მზემ!... რად მოგატყუებდი? ძორღუყო ცემი მოკეთეა, იმის სახლში ბევრჯელ მიჭამია პური.

— პურ-მარილის მგმობელს-კი ღმერთი ხელს არ მოუმართავს. უთხრა ბეჟიამ და ამაყად, თავის დაქნევით, თოფი გადაიგდო მხარზედ.

ბეჟია გაბრუნდა და ისე გასწია, რომ უკან აღარც კი მოუხედავს. იმის გულში იმ აზრსაც კი არ გაურბენია, რომ წუთს წინ ისე დამცირებული ოსი ეხლა თავისუფლად დარჩა, იარაღი ხელში ჰქონდა და შერცხვენისათვის მწარედ გადახდა შეეძლო.

ოსი კი იმავ ადგილას დარჩა და დაფიქრებული კარგა ხანს უყურებდა მიმავალს მოხევეს, რომელიც ძნელ გასავალ მთის ბილიკზედ თითქოს მიირხეოდა.

ბოლოს ოსმა ჩაიქნია ხელი და მწარედ ამოიოხრა.

— რაი მიყო მაგ «მოხნიამ»!?. მაგრამ, რჯულის მადლმა, მეც გადავუხდი!

ის გაბრუნდა, შეკაზმა საჩქაროდ ცხენი და გაქანდა ჯარიახისკენ, სადაც სულთისთვის განსაცდელის მოახლოება უნდა შეეტყობინებინა.

ოსის ფიქრით, ამ სამსახურისთვის სულთი უსაჩუქროდ არ დააგდებდა და მოხევესაც თავის დამცირებისთვის გადუხდიდა.

XIX

ოსი ჭენებით ჩავიდა გზაზედ, აქ ცხენი შეაყენა და რაღაზედაც დაფიქრდა. ოტა ხანს შემდეგ, პირდა-პირ წყალში გასვლის მაგიერ, რომელზედაც ჯარიახისკენ მოკლე გზა მიდიოდა, იმან ცხენი თავქვე დაიბრუნა და მდინარის ნაპირს დაჰყვა.

— შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო,—წყნარად წარმოსთქვა ოსმა და მაშინვე დაუმატა: თუ იმ «მოხნიას» შეეხვდი, დღეს გამიმწარებს!

ამ მოაზრების გამო, იმან გამოირჩია შორს მოსავლელი ბილიკი, რომ ბეჟიას გზაში არ შეხვედროდა და უზრუნველად გასწია.

ამ ხანში ბეჟია გასულიყო წყალს, გაევლო კარგა მანძილი ხვეული ბილიკებისა და იმ ადგილს, სადაც ორი გზა ერთად იყრება და გამოქვაბული კლდე ქვეშ სადღაც უფსკრულში დაკლაკნილს ფერგს გადაჰყურებს, დაისვენა.

ბეჟია ბავშვობიდგანვე მთების სხვა და სხვა მედიდურს სურათებს შეჩვეული იყო და გრძნობით აღსავსე გული ერთი ორად ასურვებდა ბუნებით დატკბობას, მისგან დაყვავებას. აქ-კი იმოდენი სიცოცხლე იყო, ისეთი სურათები იხატებოდა, ისე ნაზად გადაჰფენოდა ამ მედიდურს სურათებს მთვარის ნაზი სხივი, რომ გაუტაცებელი ძნელად ვინმე დარჩებოდა.

დარიელის ვიწროებში გაშმაგებული მდინარე, სადაც «ფერგი რბის, ფერგი ღრიალებს, მთანი ბანს ეუბნებიან»...სადაც აგორებულნი ზვირთნი მედგრად ეცემიან მოწინააღმდეგე კლდეებს და ჰაერში შეტყორცნილნი მეტის სიბრაზით, გრგვინვით წვრილს ნამად გაიმქრევიან, აქ ჯარიახის პირდა-პირ, ჯერ კიდევ გაშფოთებულის გულით და ბუტბუტით მიჰქანენენ, თუმცა მის მდინარებას წინ აღარა ეფეთება-რა.

ამ ადგილს ფერგი დაჭრილს ლომსავით ბრდღვინავს, მაგრამ, კლდეებს გამომცდარი, თითქოს თავის გამარჯვებას გრძნობს.

აქ ფერგის მოწინააღმდეგე მთებსაც თითქოს უგრძვნიათ ღირსეული მებრძოლის ძალა და, განზედ გასულნი, მის მამაცობას შორიდგან შაბაშს ეუბნებიან.

ამ ადგილებში კაცის გული ხარობს, თავისუფლებასა ჰგრძნობს და სიამოვნებით უჭვრეტს მთვარის ნაზს სხივებს, რომელნიც თრთოლით ეკამკამებიან და შესტრფიან საალერსო სურათებს.

ბეჟია უყურებდა ამ ადგილებს, გასცქეროდა თავის სამშობლოს წყალს, და გულში უთრთოდა რაღაცა გრძნობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს კმაყოფილებას მოასწავებს და ნაკლულევანებასაც. იმის თვალები ბრწყინავდენ, რადგან ბუნება თითქოს ალერსით ეუბნებოდა: «ჰხედავ რა ედემია?.. დასტკბი, დასტკბი, უბრალო ოცნებაზედ დროს ნუ ჰკარგავ!» მაგრამ გული ტოლს ითხოვდა, მასთან ალერსს და მარტოობას უბედურებას აშკარად ჰგრძნობდა.

ბეჟია დააცქერდა ერთს ფერდობს, რომელიც ჯერ ჩამოლესილი კლდით იწყებოდა და ქვეშ ფერგი ზედ ეგრიხებოდა. ქლდის თავზედ იყო პატარა ველი, რომელზედაც ბელადს ხარ-ლაღს გამოეყვანა თავის პატარა ჯოგი და იქ განისვენებდა; იმის იქით დაიწყებოდა უკან გადაზნექილი ტყიანი მთები, საიდგანაც ჭიანჭველა ნაჭამის დათვის ბრდღვინვა გამოისმოდა და ირმებს განსვენებას უფრთხობდა. ისინიც ცქვიტობდენ, კრთებოდენ და გაუთხილებულს ხარ-ლაღსკი კისერი გაეწოდა წინათკენ, რომ სუნით ეგრძნო განსაცდელის მოახლოება.

მთა თავდებოდა უსწორ-მასწორო სხვა-და-სხვა სურათებათ ამართულის კლდეებით, რომელნიც მთვარის შუქით სხვა-და-სხვა ფრად დაფერილიყვნენ.

ბეჟია იქამდის გაიტაცა ოცნებამ, რომ იმას სრულიად გადააივწყდა თავის მდგომარეობა, თავის არსებობაც-კი და მიეცა მარტო სულის მოძრაობას.

სწორედ იმ ადგილს, სადაც ირმები იყვნენ, ჯოგის შუაში წარმოუდგა ქალის სურათი, რომელიც ჯერ ბუნდად, თითქოს ნისლ-შემოხვეული, მოჩანდა, მერე ნისლმა წყნარ-წყნარად გადიყარა. სურათი გაბრწყინდა ჩვეულებრივის სხივით და მოხევემ ამ-

---

შინაური ქრონიკა

ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, რომ დაბა ზესტაფონში სიდი სრულიად დაძველდა და ეს მეორე წელიწადია მასზედ სიარული აკრძალულიაო. ახლა გვწერენ, რომ ამ ხიდზედ დღესაც არავინა ზრუნავს და მის მაგივრად ჰარომი მუშაობსო; მაგრამ ჰარომზედაც თურმე ბევრი უწესობა ხდება, მეტადრე ჰარასკვეობით, როდესაც ბაზარი არის ხოლმე.

იქიდამვე გვწერენ, რომ იქაურ მომრიგებელ მოსამართლის თარჯიმანი მეტად კოჭლობს თარჯიმანში და კარგი იქნება მოსამართლემ ამას ყურადღება მიაქციოსო, რადგან ტუდმა თარგმანმა შეიძლება კაცი უმიზეზოდ დააზიანოსო.

ქიზიყიდამ გვატყობინებენ, რომ იქ ამ შემოდგომაზედ, წნორის სტანციისა და ს. ანაგას შუა დიდ-ძალი ხალხი მუშაობს ბეგარაზე, გზის გასაუკანდ. ბეგრის ხალხი თურმე ზოგი სამოცი ვერსის სიშორიდამ არის მორეკილი და ეს ისე უცბად მომხდარა, რომ შესაფერი სამუშაო იარაღი თან ბევრს ვერ წამოუღია, ტუუიდან ცდებიან და ვერა მუშაობენო. ამას გარდა ბევრს ვერც სარჩო წამოუღია თანა და სარჩენნი შეიქმნენ გარეშემო სოფლელებისა, რომელნიც უიმისოდაც დასეტყვილები არიანო; გარეშემო სოფლელები ისე საზდოს არა სჩივიან თურმე, როგორც სარს, რომელიც ვენასებიდამ სულ გაზიდეს და დასწვესო. ნეტავი ეხლა კაზებსაც არ მიჰყონ ხელიო.

ს. წეროდამ (შორაპ. მაზრა) გვწერენ, რომ იქაურ ეკლესიას ძალე დანგრევა მოელის და მზრუნველი კი არავინ არის, რომ შეაკეთებინოსო.

«დროების» კორესპონდენცია.

აფხაზეთი, 10 ოქტომბერს. «ედემის ბაღს რომ იტყვიან, სწორედ აქ უნდა ყოფილიყო: ასეთ ლამაზს, ასეთ შემკულს და ბუნებით შეზავებულს ქვეყანას მთელი დედა მიწის ზურგზე ვერ შეხვდებით,—აფხაზეთის მნახველი ყველა ამას იტყვის ნახევისათანავე, მაგრამ, საუბედუროდ, ედემის შესაფერი ხალხი აქ არ მოიძებნება. აფხაზეთი, როგორც თვით ადგილის წოდება გვიჩვენებს, ეკუთნოდა და ეკუთნის აფხაზებს; მართალია, დროთა ბრუნვას ეს ქვეყანა ბევრჯელ გაუნადგურებია, ბევრჯელ აუოხრებია, აქაურის ადგილებისთვის მოსულ ხალხებს თავისებური სახელები დაურქმევიათ, მაგრამ ძირითადი სახელი მაინც ვერავის მოუსპია ამისთვის. აფხაზეთი ძველთაგან კარგად ცნობილი ქვეყანა არის. თვით იესო ქრისტეს ქვეყნად მოსვლის დროს აფხაზეთის მოსაქრისტიანებლად წამოსულა სიმონ ქანანელი, ის სიმონი, რომლის ქორწილზე ქრისტემ წყალი ღვინოდ გარდააქცია. აქ მოსვლისათანავე იგი სიკვდილით დასჯილ იქმნა ადერკი მეფისაგან. ამას მოგვითხრობს ისტორია. იმ ადგილს, საცა სვიმონი დასაჯეს, შემდეგ ქრისტეს რჯულის გავრცელებისა აღუგიათ სიმონის სახელზე ეკლესია; გასულა რამოდენიმე წელი და დროთა ბრუნვას ქრისტიანობა შეუმცირებია აფხაზეთში და სიმონის ეკლესია დანგრეულა.

ამ უკანასკნელს დროში რუსის ბერებმა სთხოვეს მმართებლობას ამ ეკლესიის განახლება და ამ ადგილს მონასტრის ან უდაბნოს გაკეთება. მმართებლობამ ნება მისცა; ამას გარდა მონასტერს დაეთმო ოთხი ათას დესიატინაზე მეტი ადგილ-მამული. ამ ჟამად მონასტერში ას ორმოცდა-ათი ბერი სცხოვრებს. ბერების აზრი იყო, ვითომ მისიონერობა გაეწიათ ხალხში, მაგრამ ყოველივე ამათი მეცადინეობა ამაო შეიქნა, რადგანაც აფხაზებს მაჰმადის რჯული ისე გასჯდომიათ ძვალსა და რბილში, რომ ამის დაგდებას სამშობლოს დაგდება ამჯობინეს და ამ საუკუნის მეორე ნახევარში უმეტესი ნაწილი აფხაზებისა სათაურეთში გარდასახლდენ. ამ უკანასკნელის ომის დროს ხომ თითქმის სულ დაიცალა ეს ქვეყანა. აფხაზების ნამოსახლი ადგილები დაურიგეს ყველას, ვინც კი მსურველი იყო. ამ ქვეყანას, აღთქმის ქვეყნისა არ იყოს, სახელი განთქმული ჰქონდა. ყოველმა კაცმა, ვინც კი ყური

მოჰკრა აფხაზეთში მუქთად ადგილს იძლევიანო, აიღეს თავი და აქ მოვიდენ. ხუთი ექვსის წლის განმავლობაში აფხაზეთს მოაწყდა ბერძენი, რუსი, ბულგარი, ნემეცი, მეგრელი, იმერელი, სომეხი და სხვა მრავალი. მმართებლობამაც უარი არავის არ უთხრა. ყველას მისცა სამყოფი ადგილი. მაგრამ ვაი ამისთანა მოსახლობას! ბარდა ბერძნისა და იმერელ-მეგრელისა, ყველა მოსულებს ამაოდ გაუარათ აქ მოსვლამ. დაერია ადგილობრივი ციებ-ცხელება და, ვინც უკანვე გაქცევა ვერ მოასწრო, ორი-სამი წლის განმავლობაში სულ გასწყვიტა.

მართალია ამ ამბის გამგონე გაკვირდება და მეტყვის—ეს ქვეყანა საამოთხისა კი არა, ჯოჯოხეთის დარი ყოფილაო; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ აქ კარგად შეუძლიან ცხოვრება ისევ ძავკასიის აქეთა მხრის კაცს—იმერელს, მეგრელს და თუნდა ბერძენსაც, ხოლო რაც შეეხება ნემეცებს, ბულგარებს, ან სხვა ხალხს, იმათთვის აქ ცხოვრება შეუძლებელია. აფხაზეთი კავკასიელებისითვის გულშემატკივარი დედაა, მაგრამ სხვებისთვის კი დედინაცვალი და მეტად ავი დედინაცვალიც, ჩვენ ეს გამოცდილებით ვიცით. ზოგიერთა რუსის მგზავრები, სტრიქონობით ფულის ამღებელი მწერლები კი გაიძახიან ევროპიდამ გადმოსახლებულს ხალხებს ხვირიანს ადგილებს არ აძლევენო და ამიტომ ვერა სძლებენო!

ამიტომ, რადგანაც ზემო-ნათქვამი მიზეზების მოსპობა ძნელია, კარგი იქნება გადმოსახლებულების ცოდვაში აღარ ჩადგნენ და აქ დაასახლონ მხოლოდ იმერლები, მეგრელები და ბერძნები, რომელნიც აქაურ ცხოვრებასაც აიტანენ და მმართებლობისთვისაც სასარგებლო იქნებიან.

გადაღმელი.

რუსეთი

— გაზეთი «რუსკი კურიერი» გვატყობინებს, რომ მმართებლობის წრეებში პროექტი სდგება სასმელებზედ ბაჟის წესდების ზოგიერთა მუხლების შესაცვლელად. ეს პროექტი გამოუწვევია იმ გარემოებას, რომ ჩუმად არეის ხდა თან-და-თან უფრო ხშირდება და ეს იმიტომ სდება, რომ ის კანონები, რომელნიც ამ საგანს შეეხებიან, საკმაონი არ არიანო; ამისათვის შემდეგი დამატება უნდა გამოსტენ: 1) მიეხედოთ უფლება აქციზის მოხელეთა და პოლიციას, შეუკრან მოძრავი ქონება იმ პირთა, რომელთაც არეის ჩუმს ხდაში დაიჭერენ და იმ პირთაც, ვის შენობაშიც მოხდება ეს უკანონო მოქმედება, და 2) არეის ჩუმად ხდისთვის უფრო მომატებული პასუხისგება დაწესდეს, კიდრე ეხლა არის.

— გაზ. «რუსკი კურიერის» სიტყვით, სარკოვის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ამ ცოტას სანში გაიხსნება.

— ბერლინიდგან ხმები გავრცელდა, რომ გენერალი ლორის-მელიქოვი ამ ცოტა სანში რუსეთის სამხედრო სამინისტროში რადაც დიდს ადგს მიიღებსო.

— «ნოვოე ვრემია» იწერება: «რადგანაც სახელმწიფო რჩევაში ელექტორების საქმე კარგად ვერ გათავდა, ამისათვის კალაშნიკოვის ბურის კაჭრებმა ბ. კატკოვს გაუგზავნეს საგუთარი დეპუტაცია; მაგრამ ჯერ არავინ არ იცის ბ. კატკოვის გარდაწყვეტილება».

— გაზ. «რუსკი კურიერის» სიტყვით, პეტერბურგის პედაგოგიურს კომისიას ამ დღეებში ჰქონია კრება პედაგოგიურს მუზეუმში იმის გამოსაკვლევად, თუ რა მიზეზებისაგან წარმოსდგება მოსწავლე ბავშვების უზომო დაღლილება. ამ კრებაზე მ. მ. მანასეინისას გამოუთქვამს, რომ ამ გარემოების მიზეზი არის, უმთავრესად, სასწავლო საგნების მრავალ-გვარობა და ისეთი საგნების სწავლება, რომელთა სწავლებაც არ შეეფერება მათს წლოვანობას; ამისათვის საჭიროა, სკოლამ შესცვალოს სწავლების პროგრამა და ზოგიერთა საგნები, რომელთაც დაბალ კლასებში ასწავლიან, მაღალ კლასებში, ასწავლოსო.

უცხოეთი

— გაზ. «რუსკი კურიერს» მეგუბარეობა სარწმუნო წყაროებიდგან, რომ ბულგარიის პარტიების ერთმანეთში მორიგება აიხსნება, პირველად იმით რომ ითინი და სობოლეკი მეტის-მეტად უზომოდ სარგებლობდენ იმ უადრესის და განსაკუთრებული უფლებებით, რომელნიც მათ მინიჭებულნი ჰქონდათო, მეორედ იმ ადამიანთა განუმარტებლობითო, რომელთაც ისინი აძლევდენ ლიბერალურს პარტიას, და მესამეთაც იმითო, რომ ჰფიქრობდენ მიანიჭონ სამთავროს ტირნოვის კონსტიტუციის მაგივრად ორგანიული წესდება, რომელიც პეტერბურგშია შემუშავებული და თრიად კონსერვატულს საფუძველზეა დამყარებული.

— «ყურნალ დე ჟენევ»-ის სტამბოლელი კორესპონდენტი იწერება. «ადარ შეიძლება ეჭვი ეიქონიოთ იმაზედ, რომ სულთანმა, რომელიც აქ ნამდვილს გარეშე საქმეთა მინისტრობას ეწევა, თავის პოლიტიკას სხვა მიმართულებაზე დაუყენა. წარსულს კვირას იმან ინახულა სასახლეში მარკიზი დე-ნოაილი, საფრანგეთის ელჩი, და კარგა სანს ესაუბრა. მან გამოუცხადა ელჩს თავისი მეგობრობა საფრანგეთისა და მის მმართებლობისადმი და სთქვა, რომ ახლოს კიდევ ის საკვეთ, რომელიც საფრანგეთის ოსმალეთისათვის გაუწევია. თუმცა ბოლოს დროს ცოტა არ იყო ერთმანეთს დაშორდენ, მაგრამ მაინც კიდევ სწამს, რომ ფრანცუზები დღევანდელამდის ოსმალების

კარად გაარკვია თავის სანატრელი Ციციას სახე.

ის იდგა მედიდურად, მხიარულად ირმის ჯოგს შუა, პირისახე უცინოდა და ნაზის თვალებით უყურებდა ნაზსავე და მოხდენილს პირუტყვებს. ესენი არამც თუ არა ჰკრთებოდენ ქალის იქ ყოფნით, არამედ მიდიოდენ მოხევის ქალთან, შუბლს ახრეშდენ Ციციას ხელს და ისიც მოხდენილს, თითქოს წმინდა სანთლისგან ჩამოსხმულს, თითებს პირუტყვებს თავზედ უსვამდა, უალერსებდა და გაძაბულ კისრებზედ სიყვარულიანად ხან ერთს ეხვეოდა, ხან მეორეს.

ბეჟია გატაცებით უყურებდა იმ სურათებს, რომელთაც მოეცვათ, შეეპყროთ მთელი იმისი არსება, გულით სურდა, თითონაც ჩარეოდა, მონაწილეე გამხდარიყო საერთო ბედნიერებისა, მაგრამ გულის წუხილით ხედავდა, რომ თითქოს ფეხები ვიღასაც შეეკრა იმისთვის და განძრევის თავი აღარა ჰქონდა!

ზონება მიხდილი, აღელვებული, გაბრაზებული, ის ყვიროდა და Ციციასკენ ხელებს იშვერდა, მაგრამ პასუხად მარტო მხიარული სიცილი, სიცილი ბედნიერებით დაკმაყოფილებულის კაცისა, ესმოდა. მოხევემ წამოიწია და დიდის წვალების შემდეგ ძლიეს წამოიჩოქა, ხელები Ციციასკენ გაიშვირა და აღელვებულის ხმით დაიძახა:

— Ციციაუ, Ციციაუ!.. დაედნი, დაეილიე შენის ძებნით!..

ამ სიტყვებზედ ისევ სიხარულით სავსე, ბედნიერი კაცის სიცილი მოესმა. ბეჟია მეტად გაფითრდა, გულმა დრო-გამოშვებით, უსწორ-მასწოროდ ძალზედ თრთოლა დაუწყო... ის ხან შესდგებოდა, მოიკუზშებოდა, მით გზას შეუკრავდა მომდინარე ადულებულს სისხლს, ხან გაიწევდა განზედ და გზა მიცემული სისხლი გაქანებით გულს ძალზედ აათამაშებდა.

— მომხედე!—დაიწყო ისევ იმან,— მე ვკვდები, ვიტანჯები და შენ-კი იცინი, ხარობს მე გული მიკვდების და არ მინდა რომ შენ მხიარული იყო!

ამ სიტყვებზედ ქალმა გამოხედა, თითქოს წარბები უსიამოვნოდ ცოტაოდნად შეჭმუხვნოდა და უკმაყოფილოდ წარმოსთქვა:

— მე რა, რომ შენ იტანჯები?.. შენ შენი ჯავრი გაქვს და იჯავრე, მე რაღად მიწამლავ სიამოვნებას! უთხრა Ციციამ, მოუბრუნდა ერთს ხარ-ლაღს და ალერსი დაუწყო.

ბეჟიამ დაიკვნესა იმის სიტყვებზედ, რადგანაც აღძრული გრძნობის გამოსათქმელად სიტყვა ველარ ეპოვა.

მართლათაც ძნელი საგრძნობელი უნდა იყოს, როდესაც შეყვარებული ჰგრძნობს, რომ მისი საგანი უიმისოთაც ბედნიერია.

ბეჟია მწუხარებით მისუსტებული, ძალ-ღონე მოკლებული და იმედგადაწყვეტილი გასცქერდა ქალს და ნატრობდა ერთს ირმად მაინც გადაქცეულიყო, რომ Ციციას შეალერსება ღირსებოდა.

სწორედ ამ დროს, როდესაც Ციცია თავის ხარ-ლაღს უალერსებდა, მეორე მხრიდგან ამოჩნდა მეორე ხარ-ლაღი, რომელიც ხან-გამოშვებული თავის ქნევით, ფრუტუნით, ხან კისერ მოღერებული და ყურებ დაცქვეტილი მოდიოდა. ირემს თვალები გაღუებულს ნახშირს დამგზავსებოდა, ის მივიდა ახლოს, შესდგა და მედგრად შეხედა იმ ირემს რომელსაც Ციცია ეალერსებოდა, მაგრამ ამ დროს მოიხედა Ციციამ, დაინახა ახლად ღოსული ირემი და ღიმილით, ხელებ გაშვერილმა იმისკენ გასწია. ირემმა სიხარულით თავი დახარა, თვალები თითქოს ცრემლებით აევსო ბა შიგ მადლობის გრძნობა გამოეხატა. Ციციამ გადახვია კისერზედ ერთი ხელი, მეორეთი დაუწყო თვალებს ფშვნეტა და ალერსიანი ჩურჩულით მიიტანა თავის ნაზი ლოყები ირმის ყბებთან. ირემი მთლად ცახცახებდა, თითქმის წარმოუთქმელი ბედნიერება ეგრძნო და გრძნობას ისეთი ძალა დაეტანებინა, რომ თავის მდგომარეობა მარტო თრთოლითა-ღა გამოეთქვა.

ერთბაშად მოისმა, სტვენის მგზავსი ქშიტინი, რომელმაც ბედნიერი ნადირი შეაკრთო. იმან აიღო თავი და დაინახა გაშმაგებული თავის მოწინააღმდეგე ხარ-ლაღი, რომელიც მედგრად უყურებდა მას; აშკარად ეტყობოდა, რომ ის საბრძოლველად იწვეოდა, ისარსავით გალესილი რქები დაეხარა, მოწინააღმდეგესთვის დაეპირდაპირა და შეკუმშული გადახტომას აპირებდა. მეორე ხარ-ლაღიც გასწორდა, გაიქნია თავი და განზედ გახტა, რამდენჯერმე დაიფრუტუნა და შეკუმშული ისიც მოემზადა მოწინააღმდეგეს დასახვედრად. ორნივ ერთმანეთს მედგრად უყურებდენ, თითქოს თვალებით ერთმანეთის გაგმირვას აპირებენო.

ის იყო გადმოხტნენ ერთმანეთთან შესატაკებლად, როდესაც ცხენის ფეხით შეძრული ქვა ერთბაშად ხრიალით თავქვე ჩაგორდა.

ამ ხმაურობაზედ ბეჟია წამოხტა, მოიფშვნიტა თვალები და ძალზედ ამოისუნთქა.

— უ, ჰუ, ჰუ!.. რაი მომეჩვენა,— წამოიძახა იმან და თოფს ხელი გაავლო. ცხენის ფეხის ხმა იმის ყურს გარკვევით მოსწვდა და რადგანაც, ვინ იცის, ვის შეხვდებოდა—მტერსა თუ მოყვარეს, დასახვედრად მოემზადა.

ა. მოჩხუბარიძე.

(უმდეგი იქნება)

ფრიად ერთგული და უანგარო მეგობარნი იყვნენ. ბოლოს უთხრა, რომ განზრახვა აქვს ამ ტოტა ხანში გრეკის და ტურის ბარიეში ფეშქაშები გაუგზავნოს.

«მარგიზ დე-ნოაილმა რა უპასუხა სულთანს ამ თავაზიან სიტყვებზე, არავინ არ იცის, მხოლოდ, რადა თქმა უნდა, ისიც თავის მხრივ დაარწმუნებდა სულთანს, რომ ძვირად ეფასებს სავრანგეთის მმართებლობაც მისს მეგობრობას. ეს საუბარი იმ დღესვე გადაუცია ბარიეში ტელეგრაფით. ამის შემდეგ იქაურს დიპლომატებს ეჭვი აღარა აქვთ, რომ ოსმალეთი იმ გზას დაადგება, რომელიც დაუსლოგებს მას დასავლეთის სახელმწიფოებს და «შუა ევროპის» სახელმწიფოებს და მათს კავშირს კი განაშორებს.

«თქვენ კარგად უწყით—იწერება კორესპონდენტი—რომ ოსმალეთი არასოდეს არ ეოფილა ფორმალურად მიღებული «სამთა კავშირში» და თუმცა ბევრი ესეწა, მიეღოთ ისაც მაგრამ თ. ბისმარკმა უარი გამოუცხადა, რადგანაც გერმანიის ოფიცრები, რომელნიც ოსმალეთის სამხედურში იმყოფებიან, იწერებიან ბერლინში—ოსმალეთის ჯარი ისეთს ცუდს მდგომარეობაში არის ეხლა, რომ მასთან კავშირის დაჭერა გროშათაც არა ღირსო.

«რასაკვირველია, გერმანიის ამ გვარი მოშურობა შეურცხყოფდა ოსმალეთის თავ-მოყვარეობას და ამ გარემოებას მეტი რედი ზედ-გავლენა არ ექნებოდა სულთანის უკანასკნელ გარდაწყვეტილებაზე».

— მადრიდიდამ მოსული ამბებიდგან კტუობილობთ, რომ იქ 24 ოქტომბერს თავისუფლების მომხრეთა კრება ყოფილიათ და ერთხმივ გარდაუწყვეტიათ, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ იმ კანონს, რომელის ძალითაც სახელმწიფოს გამგეობის უფლება შთამომავლობით გადადის ერთი პირიდგან მეორეზე, და მოითხოვონ ისევ რესპუბლიკური წეს-წყობილება პირადის უფლებებით და საზოგადო ამორჩევით. კრება ამბობს, რომ მას რეკოლიუცია არა სურს და ითხოვს მხოლოდ სახელმწიფოს წყობილობის კანონიერს შეცვლას. ბოლოს კრებას გამოუცხადებია, რომ თუ საზოგადო ხმის მიცემით ამორჩევა არ დამტკიცდება, მაშინ ყოველის ღონის-ძიებით ეცდება კორტესების დაშლას და დაუყოვნებლივ სადხის მოწოდებას.

— ესპანიის შინაურ საქმეთა მინისტრს განკარგულება მოუხდენია, რომ ამას იქით აღარავის არ შეეძლოს არც ერთი ესპანიელის დატუსაღება ესპანიის სამზღვრებში, ვიდრეიდის სამჯავრო დაწესებულებათა მიწერილობა არ მიუვათ.

განცხადებანი

—

გამსესხებელი კასსა

გრიგოლ გარამოვისა და კომპ.

ამით აცხადებს, რომ ამა კასსის წინ ქუთაისში, 15 და 25 ნოემბერს, გაისყიდება ქალაქის აუკციონისტების ხელით, ის გირაოები, რომელ-ც არ გამოუხსნიათ ორის თვის შეღავათის მოცემის (ლგოტის) შემდეგ, ოქროსი, ვერცხლისა და სხვა-და-სხვა ნივთები. (10—4)

ანგარიში ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1882 წლისა:

1883 წ. იანვრის თვის პირველ რიცხვამდის გასესხებული იყო 168 წევრზედ	მან.	კაპ.
თამასუქებით — — —	9139	— »
კასაში ფული — —	73	—41
სრულიად —	9212	—41
ამ ანგარიშში გამორიცხული არის შარშანდელი და წლევანდელი მობარებული ფულები — — —	1692	— »
დარჩა ამხანაგობას საკუთარი ფული — — —	7520	—41
წილის ფული შემოსული	615	—50
პროცენტი (%) ჯარიმიანად — — — —	1085	—40
გასული არის წილის ფული — — — —	549	— »
გასულის წილის ფულის მოგება — — — —	573	—69
დარჩა წილის ფულის მოგება მისაცემი — —	47	—85
გასულია — — —	1425	—79
37 წევრთა აქვთ სრული წილის ფული — —	1850	— »
11 წევრთა აქვთ ამხანაგობის ფული — —	763	— »
	ამხანაგები	
გამორიცხული არის სიკვდილის გამო — — — —	8	
გამორიცხ. არის ნასესხის შემოუტანლობისათვის — —	11	
გამორიცხ. არის წილის ფულის შემოუტანლ. — —	6	
გამორიცხ. არის თავის ნებით	4	
დარჩნენ ამხანაგებათ — —	241	

შენიშვნა: 1) 1882 წელში იყო საოთადარიგო თანხაში 614 მან. და 14 კაპ.

2) წმინდა მოგებიდამ—749 მან. და 49 კაპ. ამხანაგობის წევრებს მიეცა დივიდენდათ მანეთზედ 10 კაპ. წილის ფულის და გვარათ.

3) სასოფლო გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობათა ზედ-მხედველის კომიტეტის განყოფილებას პეტერბურგში გაეგზავნა 25 მანეთი ზემო-აღნიშნულ მოგებიდამ.

გამგეობის წევრი და მმართველი ჯიხაიშის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა

მღვდელი ლუკა ჩომახიძე.

(1—1)

სასტუმრო (გოსტინიცა)

„იტალია“

ნიკოლაევის ქუჩაზე, ვორონცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.

ნომრები მშვენიერად მორთულია ელექტრიულის დასარეკის ზარით და მარდი მოსამსახურეებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. ფასი ნომრებისა, საუმელებისა კარტით და სასმელებისა ნაკლებია.

სასტუმროს პატრონი ბ. სარქისოვი.

(30—20)

ქალის პალტოები, კაბის ქუდები და სხვ. იყიდება იაფ ფასად ინგლისის მაღაზიაში, რომელიც არწრუნის გალერეიაში იმყოფება. (10—5)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ

Maison de confiance



	შეადარეთ ჩვენი ჩაი	მოსკოვის ჩაის
	1 მ. 10 კ.	1 მ. 40 კ.
— —	1—20	— — 1—60
— —	1—40	— — 1—80
— —	1—60	— — 2— ,,
— —	1—80	— — 2—50
საუკეთესო	2— ,,	— — 3— ,,

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: ფეფეფები, რეკოლვერები, კრავატები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები. მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სასოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ეხდის. (100—58)

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

თმის-ამომუავანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

(100—58)

მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის ბომბა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საბონი, დუსები და სხვ.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲙᲘᲜᲘᲡ ᲙᲠᲐᲐᲛᲢᲔᲑᲘ

ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლებები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნიკოთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფადნოსი, დასადგმელი, პირისსაბანი, სტაქნები, სუფოვნიკი, საწურავები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშეები, თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძეკვები, სამარილეები, გარჩილის საფუსკვები, უნაგირები კაცისა და ქალისა, ალვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, კაქსები, ფოლები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რეკოლვერები, ბიუები, ზარიადები, კაპსიულები, საფანგები, ნიჩბები, ვატერპროუფები, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, ბიგუდები, ლოუსები, ზღვის ბალახი, დიმიკიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ეურადღება მიქცეთ. (100—12)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.

გამომცხვარი ბური რუსთის ფქვილისა — —	1	გირ.	5 ბ.
აქაურის ფქვილისა: პირველის სარისისა — —	1	ბ.	2½
მეორისა — — —	1	ბ.	2 ბ
იმავე ფქვილ. თორნში გამომცხვარი			
პირველის ხარისხის —	1	ბ.	5 ბ.
მეორისა — —	1	ბ.	3 ბ.
მესამისა — —	1	ბ.	2½
ჯვარის-მამის ბური:			
პირველის ხარის. ლაკვაში	1	ბ.	5 ბ.
მეორის ხარის. ლაკვაში	1	ბ.	3½
მესამისა — —	1	ბ.	—
ძროხის ხორცი:			
პირველის სარისისა —	1	ბ.	8 ბ.
მეორის — —	1	ბ.	7 ბ.
სუკა . . .	1	ბ.	15 ბ.
ცხვრის ხორცი —	1	ბ.	8 ბ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.

ქუთაისიდგან თბილისისკენ 12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.

ფოთიდამ ბ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензур. Тифлисъ, 28 Октября 1883 г. ეკ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველი შვილი. რედაქტორი ი. ძაჩაველი.